სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის

2024 წლის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულება.....4

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა..... 4

ზოგადი განათლების მიმართულება.....4

საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი 4

პირველკლასელთა რეგისტრაცია 5

ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება და საბაზო/სრული ზოგადი განათლების ატესტატების/ატესტატების დუბლიკატების გაცემა..... 5

სახელობო განათლების სერტიფიკატებისა და საშუალო პროფესიული დიპლომის დუბლიკატების გაცემა..... 6

ექსტერნატის გამოცდების უზრუნველყოფა 6

საჯარო სკოლის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება 6

საზღვარგარეთ აღიარებული პროგრამები..... 6

ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eSchool)..... 7

სკოლის ელექტრონული ჟურნალი..... 7

სკოლების ვებ გვერდი - skolebi.emis.ge 7

LMS სისტემა 8

პროფესიული განათლების მიმართულება.....8

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა..... 8

EVET.EMIS.GE 8

პროფესიული განათლების დაფინანსება 9

პროფესიულ პროგრამაზე მიღება და რეგისტრაცია..... 10

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სისტემის ადმინისტრირება 11

უმაღლესი განათლების მიმართულება.....11

უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირება და გაუმჯობესება 11

სტუდენტთა მობილობა 12

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და მასწავლებლის მომზადების პროგრამებზე მიღების გამოცხადების ადმინისტრირება 13

უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გაანგარიშების ადმინისტრირება და დაფინანსების მინიჭების პროცესის მხარდაჭერა 14

განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების/მიღებული განათლების აღიარების პროცესის მხარდაჭერა და ციფრული არქივი 16

სტატისტიკის მიმართულება 17

ინფორმაციული და კომპიუტერული უსაფრთხოების მიმართულება 19

კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების მიმართულება 20

სხვადასხვა სამუშაო პროცესები 22

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულება

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, შეიქმნა დაწესებულებათა პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც პირველად აღირიცხა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი როგორც კერძო და საჯარო, ასევე - ინდივიდუალური მეწარმის სტატუსით მოქმედი დაწესებულებები. რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე დაიგეგმა დაწესებულებების ავტორიზაციის განრიგი. ამასთან, სისტემაში დღემდე გრძელდება ინფორმაციის შეგროვება მოქმედი დაწესებულებების მიერ საქმიანობის განხორციელების ადგილის (ფილიალი) დამატებისა ან შეცვლის შესახებ.

ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი – საქართველო I2Q (WB) პროექტის ფარგლებში, შემუშავებული იქნა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დროებითი მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაგროვებელი მონაცემების აღმწერი დოკუმენტი.

ზოგადი განათლების მიმართულება

საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი

2024 წელს ჩატარდა საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი. კონკურსზე რეგისტრაცია გაიარა 3506 დირექტორობის კანდიდატმა, მათ შორის 483 სერტიფიცირებულმა, რომლებიც კონკურს შეუერთდნენ გასაუბრების ეტაპზე და 3023 არასერტიფიცირებულმა პირმა, რომლებიც დარეგისტრირდნენ კონკურსის პირველ ეტაპზე - ტესტირებაზე. ტესტირება უზრუნველყო სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ საქართველოს მასშტაბით 48 საგამოცდო ცენტრში. თუმცა დარეგისტრირებული 3023 დირექტორობის კანდიდატიდან ტესტირებაზე გამოცხადდა 1846 პირი. ტესტირების შედეგებისა და ტესტირების შედეგებთან, ტესტურ დავალებათა სისწორესთან და პროცედურულ დარღვევასთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით შექმნილი საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გასაუბრებაზე დაიშვა ჯამში 1430 დირექტორობის კანდიდატი, მათ შორის 947 არასერტიფიცირებული და 483 სერტიფიცირებული პირი.

საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი, საქართველოს მასშტაბით, გამოცხადებული იყო 1221 საჯარო სკოლაში. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენის მიზნით, დირექტორობის კანდიდატებმა სულ 1203 საჯარო სკოლაში გააკეთეს განაცხადი წარდგენაზე, საიდანაც:

- 134 საჯარო სკოლაში გაკეთდა ერთი განაცხადი;
- 170 საჯარო სკოლაში გაკეთდა ორი განაცხადი;
- 198 საჯარო სკოლაში გაკეთდა სამი განაცხადი;
- 701 საჯარო სკოლაში გაკეთდა სამზე მეტი განაცხადი.

ხოლო 18 საჯარო სკოლაში არ გაკეთებულა არც ერთი განაცხადი.

საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის ასარჩევად, კომისიამ 639 კანდიდატი წარადგინა 556 საჯარო სკოლაში, საიდანაც ერთდროულად ორი და მეტი კანდიდატი წარდგენილ იქნა 59 საჯარო სკოლაში. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოებმა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 6 წლის ვადით აირჩიეს დირექტორი 456 საჯარო სკოლაში, ხოლო 100 საჯარო სკოლაში დირექტორი ვერ შეირჩა.

პირველკლასელთა რეგისტრაცია

საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაციის მიზნებისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეცხადებინათ მისაღები პირველკლასელი მოსწავლეების, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის განკუთვნილი მინიმალური ლიმიტები. პირველკლასელთა რეგისტრაცია წარიმართა 4 ეტაპად. 2024-2025 სასწავლო წლისთვის საჯარო და კერძო სკოლის პირველ კლასში ჯამში დარეგისტრირდა 50 771 მოსწავლე, მათ შორის საჯარო სკოლაში 43 714 მოსწავლე, ხოლო კერძოში - 7057.

ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება და საბაზო/სრული ზოგადი განათლების ატესტატების/ატესტატების დუბლიკატების გაცემა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების 2023-2024 სასწავლო წლის საბაზო და სრული ზოგადი განათლების კურსდამთავრებულთათვის საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლების - ატესტატების გაცემის მიზნით, შესაბამისი დაწესებულებებიდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, რომელიც დამუშავდა და აისახა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში, კერძოდ სრული ზოგადი განათლების ატესტატის უფლებამოპოვებული 42 712 მოსწავლე და საბაზო ზოგადი განათლების ატესტატის უფლებამოპოვებული 46 854 მოსწავლე.

რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების მიზნით, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული მონაცემების საფუძველზე, მიეწოდა ინფორმაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული იმ აბიტურიენტების შესახებ, რომელთაც მოპოვებული აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მიღების უფლება.

დამტკიცდა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაეცა ახალი საბაზო და სრული ზოგადი განათლების ატესტატების ბლანკები. ამასთან, მთელი წლის მანძილზე, იმ პირებთან დაკავშირებით, რომელთაც ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეს 2011 წლამდე და საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლების ატესტატის დუპლიკატის მოთხოვნით მიმართეს სსიპ

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ჩატარდა შესაბამისი წარმოება ჯამში 2 784 განაცხადთან დაკავშირებით და განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

გაგრძელდა საბაზო და/ან სრული ზოგადი განათლების ატესტატის ელექტრონული ასლის გაცემის პროცესიც. ატესტატის ელექტრონული ასლი არის ორიგინალი დოკუმენტის ასლი, რომელიც ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონული დოკუმენტია.

სახელობო განათლების სერტიფიკატებისა და საშუალო პროფესიული დიპლომის დუბლიკატების გაცემა

მთელი წლის განმავლობაში, იმ დაინტერესებული პირების განაცხადების საფუძველზე, რომელთაც 2009-2010 სასწავლო წლის ჩათვლით დაასრულეს დაწყებითი პროფესიული, ხოლო 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა დაუზიანდათ ან დაეკარგათ შესაბამისი დიპლომი, ჩატარდა შესაბამისი წარმოება და გაიცა 21 ცალი სახელობო განათლების სერტიფიკატისა და 163 ცალი საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუპლიკატები.

ექსტერნატის გამოცდების უზრუნველყოფა

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო მე-12 კლასში შემავალი საგნების - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება - ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დამლევის გამოცდების ცენტრალიზებული ჩატარება ელექტრონული ფორმით, რისთვისაც საგამოცდო ცენტრებად წინასწარ შეარჩია სკოლები. აღნიშნულ სკოლებში, სისტემამ, გამართა ინტერნეტის ქსელი, მუდლის სისტემაში დაარეგისტრირა ექსტერნები და მომხმარებლების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრებს, ასევე, განახორციელა საგამოცდო ტესტების მუდლის სისტემაში ასახვა. ექსტერნატის გამოცდების დასრულების შემდგომ კი, შედეგები, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის გაცნობისა და შემდგომი რეაგირების მიზნით, წარუდგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. აღნიშნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა ჯამში 948 მოსწავლე.

საჯარო სკოლის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება

მასწავლებელთა ახალი სახელფასო პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კოორდინაციით, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) შემუშავდა ახალი მოდული, რომელიც სამინისტროს აძლევს შესაძლებლობას მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შრომის ანაზღაურების მიზნით, განსაზღვროს საჯარო სკოლებისათვის ყოველთვიური დამატებითი დაფინანსების ოდენობა.

საზღვარგარეთ აღიარებული პროგრამები

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) შეიქმნა საზღვარგარეთ აღიარებული პროგრამების განმახორციელებელი როგორც ავტორიზებული, ასევე - არაავტორიზებული დაწესებულებებისა და მათი მოსწავლეების აღრიცხვის მოდული.

ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (ESCHOOL)

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის - ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი – საქართველო (Georgia I2Q - Innovation, Inclusion and Quality Project) ფარგლებში, მონაცემების ელექტრონულად შეგროვების, შენახვის, დამუშავების, ანალიზისა და პროცესების ავტომატიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, დაიწყო ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) შექმნის პროცესი, რომელიც უპასუხებს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მოთხოვნებს და ხელს შეუწყობს ზოგად განათლებაში მიმდინარე პროცესების ავტომატიზაციას. ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eSchool) გახდება გადაწყვეტილების მიღების პროცესების ეფექტიანი ინფორმაციული უზრუნველყოფის წყარო, გაამარტივებს და ხელმისაწვდომს გახდის მომხმარებლებისათვის ისეთი სერვისების ონლაინ რეჟიმში მიწოდებას, როგორიცაა ელექტრონული ზოგადი განათლების ატესტატის მიღება, პოტენციური პირველკლასელი მოსწავლის საჯარო სკოლაში რეგისტრაცია და დოკუმენტაციის წარდგენა, მოსწავლის მობილობა, სკოლაში სხვადასხვა განაცხადის ელექტრონულად წარდგენა და ა.შ.

სკოლის ელექტრონული ჟურნალი

საანგარიშო პერიოდში სკოლის ელექტრონულ ჟურნალს დაემატა ახალი ფუნქციონალები შემდეგ მოდულებში: მონაცემები, დარღვევები, გამოცდები, ჟურნალი, კლასები, დავალებები, კალენდარი, მოთხოვნა, ჩატი, საშვები, საპატიო გაცდენები.

ამასთან, ფუნქციონალის დანერგვის ფარგლებში, შეიქმნა ტექსტური და ვიდეო ინსტრუქციები, ასევე დაინტერესებული პირებისთვის ჩატარდა ფუნქციონალის გამოყენებასთან დაკავშირებული ვებინარები.

2024 წლის მანძილზე მიმდინარეობდა სკოლის ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაციის შექმნა, რაც ემსახურება ელექტრონული ჟურნალით სარგებლობის გამარტივებას და უზრუნველყოფს სკოლის და მშობლის კიდევ უფრო მოქნილ კომუნიკაციას. ვინაიდან, აპლიკაციის მეშვეობით, მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ, ასევე, საკუთარი სმარტფონებიდან აღრიცხონ მოსწავლეების შეფასებისა და დასწრების მაჩვენებლები, ხოლო მშობლებისთვის მყისიერად მოხდება ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკუთარი შვილის/შვილების აქტივობების შესახებ შეტყობინების სახით.

ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაციის დანერგვის მიზნით შეიქმნა შესაბამისი ტექსტური ინსტრუქციები და ჩატარდა ვებინარები. ამ ეტაპისთვის, მობილურ აპლიკაციას იყენებს 19 700 ანდროიდის და 4 750 ios მომხმარებელი.

სკოლების ვებ გვერდი - SKOLEBI.EMIS.GE

2023 წელს დაინერგა ერთიანი პორტალი skolebi.emis.ge, სადაც პირველ ეტაპზე, ყველა საჯარო სკოლას, მომავალში კი კერძო სკოლებსაც აქვთ შესაძლებლობა საკუთარი სკოლის შესახებ ერთიან სივრცეში განათავსონ ინფორმაცია, სადაც ნებისმიერ მომხმარებელს, მათ შორის მშობლებსაც, შესაძლებლობა აქვთ თვალი ადევნონ სკოლის აქტივობებს. აღნიშნული პლატფორმა ასევე გამოიყენება სკოლების ავტორიზაციის მიზნებისთვის.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა პორტალის ფუნქციონალის განვითარება, ტექნიკური მხარდაჭერა და მომხმარებლებისთვის შესაბამისი კონსულტაციების გაწევა.

LMS სისტემა

მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს სკოლებისთვის LMS სისტემის შექმნა, სადაც მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ შექმნან/გამოიყენონ სასწავლო რესურსები სასწავლო პროცესში, მოსწავლეები შეძლებენ ამავე პლატფორმაზე მოახდინონ შესაბამისი დავალებების შესრულება, მშობლებს კი საშუალება ექნებათ თვალი ადევნონ საკუთარი შვილის მიერ შესრულებულ დავალებებსა და მასწავლებლებისგან მიღებულ უკუკავშირს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა LMS პლატფორმის კონცეფციის ჩამოყალიბება და შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა.

პროფესიული განათლების მიმართულება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებსა“ და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებით დამტკიცებულ „პროფესიული განათლების დაფინანსების წესსა და პირობებში“ განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა (evet.emis.ge) და სარეგისტრაციო სისტემაში (vet.emis.ge) განხორციელდა საჭირო ღონისძიებები აღნიშნული ცვლილებების იმპლემენტაციისათვის.

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

EVET.EMIS.GE

- 2021 წლის 17 თებერვლის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების“ შესაბამისად სისტემაში წარიმართა დაწესებულებების, პროგრამების, პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებული პერსონალის შესახებ მონაცემთა წარმოება და პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პროცესის მხარდაჭერა.

- სახელმწიფოს მიერ პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის განხორციელებული სერვისების და პროექტების ხელშეწყობა, დაზღვევის ბენეფიციარი სტუდენტების და სამგზავრო ბარათების მონაცემების მიწოდება.

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 11 თებერვლის N1.1/13 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაციის მონიტორინგის წესის“ შესაბამისად განხორციელდა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგები დაგზავნილ იქნა საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რომელთაც განესაზღვრათ გონივრული ვადა გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

- „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანების შესაბამისად, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებში ასახული იქნა ახალი პროფესიული კვალიფიკაციები.

- საანგარიშო პერიოდში მართვის სისტემის ტექნიკური მხარდაჭერით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შემუშავებულ იქნა პროფესიული მოდულები და საგანმანათლებლო სტანდარტები.

- პილოტირების რეჟიმში მოქმედებს პროფესიული განათლების ელექტრონული ჟურნალი (onlinevet.emis.ge). საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროში ინიცირებულია „პროფესიული განათლების ელექტრონული ჟურნალის ადმინისტრირების წესის“ პროექტი. ჟურნალის შემდგომი განვითარებისა და ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით დაგეგმილია შესაბამისი ღონისძიებები.

- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით 12 საგანმანათლებლო დაწესებულებას/იურიდიულ პირს აქვს მოპოვებული არაფორმალური განათლების აღიარების უფლება, ხოლო სისტემის შექმნის დღიდან 95 მაძიებელთან განხორციელდა კონსულტირების პროცესი, არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით.

პროფესიული განათლების დაფინანსება

- 2024 წლის შესაბამის კვარტლებში დაფინანსების ადმინისტრირების ფუნქციონალის მეშვეობით, კონკრეტული თარიღის მდგომარეობით და აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, განხორციელდა მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში თანხის პირველადი და კვარტლური გადარიცხვის მიზნით თანხის გაანგარიშება, მონაცემების ფორმირება სისტემიდან და მინისტრის ინდ.აქტით დადგენილი ფორმით სამინისტროში წარდგენა, ასევე, მოწყვლადი ჯგუფების გაზრდილი დაფინანსების გაანგარიშების კოორდინაცია.

- სისტემაში მოდიფიცირებულ იქნა მოდული განფასების ფუნქციონალი და 2024 წელს მართვის სისტემის ტექნიკური მხარდაჭერით, განხორციელდა 240-ზე მეტი ახალი მოდულის განფასება.

- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შეიქმნა დაფინანსების უფლების მქონე პროფესიულ სტუდენტთა შესახებ ინფორმაციის, ექსელის ფორმატში გენერირებისთვის საჭირო ფუნქციონალი.

პროფესიულ პროგრამაზე მიღება და რეგისტრაცია

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებში“ შეტანილი ცვლილების შესაბამისად, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში უზრუნველყოფილ იქნა 2024 წელს მიღების ორჯერ გამოცხადება. ამდენად, განხორციელდა პროცესის ადმინისტრირებისთვის საჭირო ფუნქციონალის მოდიფიცირება. აღნიშნული ფუნქციონალის მეშვეობით გაზაფხულზე მიღება გამოცხადდა (გაზრდილი კვოტების გათვალისწინებით) - 9231 თავისუფალ ადგილზე, ხოლო საშემოდგომო მიღების ფარგლებში შეთავაზებული იყო (გაზრდილი კვოტების გათვალისწინებით) - 13 019 თავისუფალი ადგილი.

- სარეგისტრაციო სისტემის (vet.emis.ge) მეშვეობით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საგაზაფხულო მიღების ფარგლებში დარეგისტრირდა 11 484 აპლიკანტი, ხოლო საშემოდგომო მიღებაზე -17 576 აპლიკანტი.

- შერჩევის პროცედურებისა და შედეგების გათვალისწინებით განხორციელდა რეიტინგული სიების ფორმირება სისტემაში, რომლის შედეგადაც საგაზაფხულო მიღების ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 6 323 პროფესიული სტუდენტი, აქედან 385 ინტეგრირებულზე და 33 დუალურზე, ხოლო საშემოდგომო მიღების ფარგლებში ჩაირიცხა - 10 095 პროფესიული სტუდენტი, აქედან 557 ინტეგრირებულ პროგრამაზე და 340 დუალურ პროგრამაზე;

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ მე-20[1] მუხლის შესაბამისად შეიქმნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის პროცედურებისთვის საჭირო ფუნქციონალი, რომლის მეშვეობითაც 20 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გამოცხადდა მიღება 23 იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. აღნიშნულ პროგრამებზე სწავლას განაგრძობს 300-ზე მეტი სკოლის მოსწავლე.

- პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა სარეგისტრაციო პლატფორმის განახლება და ახალი შესაძლებლობის მქონე ფუნქციონალის შექმნა. შესაბამისად, გაჩნდა საჭიროება მოხდეს პროფესიული განათლების vet.ge -ის პლატფორმაში არსებული მონაცემების ინტეგრაცია vet.emis.ge-ის სარეგისტრაციო სისტემასთან, რაც გაუადვილებს მომხმარებელს ჰქონდეს წვდომა მისთვის სასურველ და

აუცილებელ ინფორმაციაზე. 2024 წელს მართვის სისტემამ დაიწყო პროფესიული განათლების ერთიანი ელექტრონული პლატფორმის შემუშავება.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სისტემის ადმინისტრირება

- წარიმართა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სისტემის ადმინისტრირება, იურიდიული პირების, პერსონალის, პროგრამებისა და ნაკადების შესახებ მონაცემების წარმოება და იურიდიული პირის მიერ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების/სისტემაში რეგისტრაციის პროცესის მხარდაჭერა. 2024 წელს სისტემის მეშვეობით შემუშავებულ იქნა 180-ზე მეტი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა.

- სისტემაში 2024 წელს შეიქმნა და მიღება გამოცხადდა 500-ზე მეტ ნაკადზე და ჩაირიცხა 8000-ზე მეტი მსმენელი.

- შექმნილია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების შეტანის, მისაღები ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდისა და პროგრამაში განხორციელებული სხვა სახის ცვლილებების სისტემაში ასახვის პროცესის ავტომატიზაციისათვის საჭირო ფუნქციონალი.

უმაღლესი განათლების მიმართულება

უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირება და გაუმჯობესება

- საანგარიშო წლის მანძილზე უზრუნველყოფილი იქნა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების გადაწყვეტილებების მართვის სისტემაში ასახვა, შესაბამისად, განხორციელდა ინფორმაციის განახლება/დასუფთავება საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული პროფილებისა და მათ მიერ განხორციელებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ჭრილში. კერძოდ, მართვის სისტემაში ასახულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 137 გადაწყვეტილება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 33 გადაწყვეტილება. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში.

- უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით განსახორციელებელი პროცესების ეფექტური ადმინისტრირებისათვის, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაციის მონიტორინგის წესის შესაბამისად, განხორციელდა სამი გეგმიური მონიტორინგი, გაანალიზდა მონაცემები, განხორციელდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კომუნიკაცია, შესაბამისი მონაცემების დაზუსტების მიზნით.

- დამუშავდა მონაცემები 16 600 - მდე პირზე და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აისახა ინფორმაცია ფიზიკური პირისათვის სხვადასხვა მეთოდით სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე.

- სისტემატურად ხორციელდება სახელმწიფოს მიერ სტუდენტებისათვის განხორციელებული სხვადასხვა პროექტების ხელშეწყობა, (ID) ბარათების, სამგზავრო ბარათებისა და სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის სტუდენტური დაზღვევის ბენეფიციართა შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ახალი უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის - eUni-ს შექმნის მხარდაჭერა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საგანმანათლებლო პროგრამების და პერსონალის მოდულების შექმნისათვის შესაბამისი ბიზნეს-პროცესის აღწერა ტექნიკური დავალების ფორმირებისათვის.

- უმაღლესი განათლების მიმართულებით მონაცემების დამუშავების, სტატისტიკის წარმოებისა და ანალიტიკის გაუმჯობესების მიზნით, Qlik სისტემის გამოყენებით შეიქმნა მონაცემთა ვიზუალიზაციის, დამუშავებისა და ექსპორტირების შესაძლებლობა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების, სტუდენტების, დაფინანსების უფლების მინიჭების მონაცემებისა და სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო და პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების ჭრილებში.

სტუდენტთა მობილობა

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ სტუდენტთა მობილობის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში უზრუნველყო შემდეგი საქმიანობების განხორციელება:

- 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში, სპეციალური ანკეტა-კითხვარის მეშვეობით, მართვის სისტემამ დაადასტურა 47 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 792 პროგრამა.

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის პროცესების ადმინისტრირება და პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების ხელშეწყობა. კერძოდ: მობილობის ელექტრონული პორტალის მომსახურებით ისარგებლა 2750 მობილობის მსურველმა სტუდენტმა, მობილობით გადასვლის უფლება მოიპოვა 2297 სტუდენტმა, ხოლო ჩარიცხვის შესახებ დასკვნა გაიცა 1913 სტუდენტზე;

- 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში სპეციალური ანკეტა-კითხვარის მეშვეობით, მართვის სისტემამ დაადასტურა 54 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 937 პროგრამა.

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის პროცესების ადმინისტრირება და ჩართული დაინტერესებული მხარეების ხელშეწყობა. კერძოდ: მობილობის ელექტრონული პორტალის

მომსახურებით ისარგებლა 6585 მობილობის მსურველმა სტუდენტმა, მობილობით გადასვლის უფლება მოიპოვა 4484 სტუდენტმა, ხოლო ჩარიცხვის შესახებ დასკვნა გაიცა 4783 სტუდენტზე.

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები და სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის მიხედვით მოიპოვეს ჩარიცხვის უფლება შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში და იმ მობილობის მსურველებისათვის, რომლებმაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში მოიპოვეს ჩარიცხვის უფლება ამავე დაწესებულებაში რიგგარეშე მობილობის ადმინისტრირება და პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების ხელშეწყობა. კერძოდ: მართვის სისტემამ დაადასტურა 23 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 159 პროგრამა, ხოლო ჩარიცხვის შესახებ დასკვნა გაიცა 54 სტუდენტზე; შედეგები ასახულ იქნა უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და მასწავლებლის მომზადების პროგრამებზე მიღების გამოცხადების ადმინისტრირება

- 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით მიღების გამოცხადებისათვის, 62 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარების მეშვეობით, დამუშავდა 801 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურდა და მიეწოდა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს. ამასთან, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ განახლებული მონაცემების მიწოდება, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

- 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების მიზნით 1-ელ დეკემბერს გაიხსნა ელექტრონული ანკეტა-კითხვარი, რომლითაც დაწესებულებები წარმოადგენენ 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებით აბიტურიენტთა მიღებისთვის საჭირო მონაცემებს. 2025 წლის 10 იანვრამდე მართვის სისტემა უზრუნველყოფს ანკეტა-კითხვარის დადასტურებასა და დადასტურებულ მონაცემებზე სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წვდომას დახურული ქსელით (VPN).

- 2024 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების მეშვეობით მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების მიზნით, 49 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარების მეშვეობით, დამუშავდა და დადასტურდა 521 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია თებერვლის ეტაპის ფარგლებში; ხოლო „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, 49-მდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარების მეშვეობით, დამუშავდა და დადასტურდა 518-ზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია.

- აბიტურიენტთა ინფორმირების მიზნით დამუშავდა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის მიწოდებული იქნა 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებით აბიტურიენტთა მიღების მიზნით გამოცხადებული სავარაუდო საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე ინფორმაცია 61 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 777 პროგრამაზე.

- 2024 წლისათვის მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით უზრუნველყოფილ იქნა, სპეციალური ელექტრონული ანკეტა-კითხვარის მეშვეობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროგრამებისა და მისაღების ადგილების, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ადგილების რაოდენობის წარმოდგენა, მართვის სისტემის მიერ მონაცემთა გადამოწმება და დადასტურება, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მართვის სისტემის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გადამოწმდა და დადასტურდა 18 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების 144 მოდულის შესახებ ინფორმაცია.

- საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში დაემატა ფუნქციონალი სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისა და პირთა ჩარიცხვის მიზნით. აღნიშნული ფუნქციონალის მეშვეობით სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადება უზრუნველყოფილ იქნა სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამ პროგრამაზე.

- 2024-2025 სასწავლო წელს უსდ-ების მიერ მოწოდებულ იქნა მასწავლებლისა და სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 1289 პირის შესახებ ინფორმაცია და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვამდე, მათ მიერ ჩაბარებული საგნის გამოცდის შესახებ მონაცემები, გადამოწმდა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გაანგარიშების ადმინისტრირება და დაფინანსების მინიჭების პროცესის მხარდაჭერა

- 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაფინანსების უზრუნველსაყოფად, 2024 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დაანგარიშდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია:
  - ✓ ბაკალავრიატის საფეხურზე 31095 სტუდენტის სწავლის საფასურის - 25 039 387,5 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.
  - ✓ მაგისტრატურის საფეხურზე 1848 სტუდენტის სწავლის საფასურის - 2 075 375 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.
  - ✓ მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 1018 სტუდენტის სწავლის საფასურის - 1 144 750 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.

- ✓ ბაკალავრიატის საფეხურზე გამყოფი ხაზის 1174 სტუდენტის სწავლის საფასურის - 1 280 038 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.
- ✓ მაგისტრატურის საფეხურზე გამყოფი ხაზის 235 სტუდენტის სწავლის საფასურის - 257 375 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.

- 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაფინანსების უზრუნველსაყოფად, 2024 წლის 1/15 ნოემბრის მდგომარეობით დაანგარიშდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია:
  - ✓ ბაკალავრიატის საფეხურზე 33141 სტუდენტის სწავლის საფასურის - 26 298 147.5 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.
  - ✓ მაგისტრატურის საფეხურზე 1951 სტუდენტის სწავლის საფასურის - 2 191 250 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.
  - ✓ მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 1150 სტუდენტის სწავლის საფასურის - 1 293 000 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.

- 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების უზრუნველსაყოფად, 2024 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დაანგარიშდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია 19362 სტუდენტის სწავლის საფასურის - 20 413 562.5 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.

- 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების უზრუნველსაყოფად, 2024 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით დაანგარიშდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია 19157 სტუდენტის სწავლის საფასურის - 20 189 925 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.

- სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სწავლის გაგრძელების უფლება მინიჭებულ პირთათვის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების ხელშეწყობის მიზნით დამუშავებულ იქნა ინფორმაცია 43 842 აბიტურიენტის შესახებ, მათ მიერ წარსულში გამოყენებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ჭრილში.

- სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, 2024 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე სწავლის გაგრძელების უფლება მინიჭებულ პირთათვის, სახელმწიფო სამაგისტრო გრანტის მინიჭების მიზნით დამუშავებულ იქნა ინფორმაცია 4917 სტუდენტის შესახებ.

- სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2024 წლის საგრანტო კონკურსის შედეგად, კონკურსში მონაწილე პირებისათვის სახელმწიფო გრანტის მინიჭების/გაუმჯობესების მიზნით, დამუშავებულ იქნა ინფორმაცია 2224 სტუდენტის შესახებ, ამ პირების მიერ მოპოვებული და გამოყენებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის, ასევე იმ საგანმანათლებლო პროგრამების ჭრილში, რომელზეც ირიცხებიან კონკურსში მონაწილე პირები.

- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ 2024 წელს სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მინიჭების მიზნით ბაკალავრიატის საფეხურზე დამუშავებულ იქნა ინფორმაცია 3711 სტუდენტის თაობაზე, ხოლო სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მინიჭების მიზნით მაგისტრატურის საფეხურზე, ასევე დამუშავებულ იქნა ინფორმაცია 108 სტუდენტის თაობაზე, მათ მიერ მოპოვებული და გამოყენებული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და პროგრამების აკრედიტაციის ჭრილში.

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2024 წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სპეციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მინიჭების მიზნით ბაკალავრიატის საფეხურზე დამუშავებულ იქნა ინფორმაცია 59 სტუდენტის თაობაზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სპეციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მინიჭების მიზნით მაგისტრატურის საფეხურზე, ასევე დამუშავებულ იქნა ინფორმაცია 9 სტუდენტის თაობაზე.

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მიერ მოპოვებული სახელმწიფო დაფინანსების ადმინისტრირების პროცესის ავტომატიზაციის მიზნით, სპეციალურ ელექტრონული პროგრამაში განხორციელდა არსებული ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით, მონაცემთა დამუშავება და პროგრამული უზრუნველყოფის გადაწყვეტა.

- პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში დაფინანსების პროცესის ავტომატიზაციის პროცესის გაუმჯობესებისათვის განხორციელდა არსებული ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა, შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით, მონაცემთა დამუშავება და პროგრამული უზრუნველყოფის გადაწყვეტა, ასევე დაემატა ახალი ფუნქციონალი კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, კრედიტების დაგროვების საფუძველზე სტუდენტთათვის დაფინანსების შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით.

განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების/მიღებული განათლების აღიარების პროცესის მხარდაჭერა და ციფრული არქივი

- საქართველოში გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და საქართველოში მიღებული განათლების აღიარების ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე, სხვა დაინტერესებულ პირთა/ორგანიზაციათა მოთხოვნით, მომზადდა 1300-ზე მეტი დასკვნა და სისტემატურად მიმდინარეობს კორესპონდენციების მომზადება საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და დაინტერესებული პირისთვის დასკვნის მომზადების ჭრილში.

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსების შესახებ შექმნილი ციფრული არქივის ხარვეზების აღმოფხვრა. პლატფორმაზე ასახულია ინფორმაცია 1200 საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ.

- უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ციფრულ არქივში ასახული ინფორმაციის განახლება ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოების გადაწყვეტილებების შესაბამისად.

სტატისტიკის მიმართულება

საქართველოს განათლების სისტემაში საგანმანათლებლო სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ვაუჩერული დაფინანსების უზრუნველსაყოფად დამუშავდა შესაბამისი მონაცემები და დადგენილი წესის შესაბამისად ინფორმაცია მიეწოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

- საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით დადგენილი სტატუსის დანამატის ოდენობების განსაზღვრის მიზნით, ყოველთვიურად მუშავდებოდა საჯარო სკოლის მასწავლებელთა საგაკვეთილო მონაცემები და ინფორმაცია მიეწოდებოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, დადგენილი წესის შესაბამისად.

- საჯარო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების დაფინანსებისთვის საჭირო მონაცემები მუშავდებოდა ყოველთვიურად და მიეწოდებოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, დადგენილი წესის შესაბამისად.

- საჯარო სკოლების ექიმების/ექთნების დაფინანსებისთვის საჭირო მონაცემები მუშავდებოდა ყოველთვიურად და მიეწოდებოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, დადგენილი წესის შესაბამისად.

- საჯარო სკოლების ბილინგვური სწავლების სპეციალისტების დაფინანსებისთვის საჭირო მონაცემები მუშავდებოდა ყოველთვიურად და მიეწოდებოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, დადგენილი წესის შესაბამისად.

- დადგენილი ვადების შესაბამისად მიმდინარეობდა განათლების სფეროში სახელმწიფო სოციალური პროგრამების ბენეფიციართა მონაცემების განახლება და შესაბამისი სტრუქტურებისთვის მიწოდება.

- თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის უფლებით სარგებლობის მიზნით ყოველთვიურად მიეწოდება ინფორმაცია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებულ საჯარო სკოლებში და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული პირების შესახებ.

- განათლების სისტემაში სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობისათვის მოქმედებდა მონაცემთა ანგარიშგებისა და ვიზუალიზაციის სისტემა - QlickSense, რაც უზრუნველყოფდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სრულ, ასევე პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების ანალიტიკური მონაცემების დამუშავებას. ამ სისტემის მეშვეობით წარმოჩინდა ასევე უმაღლესი განათლების საგრანტო დაფინანსების მონაცემები.

- მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის 2024 წლის პროგრამის ფარგლებში შეფასდა 2024-25 სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა სავარაუდო რაოდენობის პროგნოზული მაჩვენებლები.

- საანგარიშო წლის მანძილზე, გეგმიურად და მოთხოვნების შესაბამისად მუშავდებოდა და დაინტერესებულ პირებს მიეწოდებოდა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სტატისტიკური მონაცემები.

- ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის დოკუმენტების შესაბამისი სამოქმედო გეგმების ფარგლებში განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად ხდებოდა მონაცემების დამუშავება და წარდგენა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე მაკოორდინირებელ უწყებებში.

- საანგარიშო წლის განმავლობაში, განათლების სისტემაში ანალიტიკური კომპონენტის გაძლიერების მიზნით, გრძელდებოდა მუშაობა სივრცითი ანალიზის კომპლექსურ ინსტრუმენტებზე და განათლების სისტემის ერთიანი გეოსაინფორმაციო სისტემის (GIS) ფორმირებაზე, სკოლების რუკაზე დატანის ამოცანებზე და თემატური რუკების შექმნაზე, რაც უზრუნველყოფს სივრცითი და ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებების ინფორმაციულ მხარდაჭერას და მოდელირებას. გეოსაინფორმაციო სისტემების ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო სივრცითი მონაცემების ეროვნული ინფრასტრუქტურის პროექტის გეგმის შემუშავებაში; მოხდა პროექტის განხორციელების გეგმის კომენტირება და რეკომენდაციების შეთავაზება, ასევე, ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა ზემოხსენებულ უწყებათაშორის სამუშაო შეხვედრებში. სკოლების საჯარო პორტალში განხორციელდა ვებ რუკების ინტეგრირება, რაც იძლევა სკოლების ადგილმდებარეობის და სკოლების გარშემო მყოფი მნიშვნელოვანი ობიექტების ციფრულ რუქაზე ნახვის საშუალებას. სკოლების აღწერის პროექტის ფარგლებში შეიქმნა ინტერაქტიული ონლაინ რუკები, რომელზეც გამოისახა სკოლების აღმწერი მონაცემები. დამუშავდა და სრულად აისახა ციფრულ რუკაზე საბავშვო ბაღების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემები. შეიქმნა სკოლების ინფრასტრუქტურის და მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების ონლაინ ინტერაქტიული რუქა და საძიებო სისტემა; აიგო სამუშაო ვებ-რუქები რესურს სკოლებისა და სატელიტური სკოლების შერჩევის პროცესის მხარდასაჭერად თბილისის რაიონებისა და უბნების დონეებზე. საქართველოს პარლამენტის განათლების კომისიისთვის ჩატარდა სკოლების ტევადობის და მომავალი წლის მოსალოდნელი მოსწავლეების რაოდენობების შედარებითი ანალიზი; აგრეთვე ჩატარდა თბილისის უბნებს შორის მოსწავლეების სასწავლო მიზნებისთვის გადაადგილების ანალიზი.

- „სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N573 დადგენილების შესაბამისად,

განხორციელდა სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის შემდგომი ციკლის ფარგლებში ჩართულ უწყებებთან ინფორმაციის მიმოცვლა, რამდენჯერმე დამუშავდა სიები და შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში.

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 2024-25 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა პირველკლასელთა რეგისტრაციის პროცესზე დაკვირვება, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სათანადო მონაცემების ასახვა და განახლება, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების მომზადება და მიწოდება.

- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაციის სისწორის გადამოწმების, მონიტორინგის წესის მიხედვით განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ზოგადი განათლების მაჩვენებლების ყოველწლიური გეგმიური მონიტორინგის მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სისტემაში არსებული ინფორმაციის სისწორის გადამოწმებისათვის განხორციელდა შესაბამისი სინტაქსების შექმნა, ხარვეზების აღმოჩენა და დეტალური ანგარიშის მომზადება.

ინფორმაციული და კომპიუტერული უსაფრთხოების მიმართულება

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციული და კომპიუტერული უსაფრთხოების მიმართულებით, საქართველოს კანონის „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტის, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (Information Security Managent System - ISO 27001) დანერგვის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა;

- ჩამოყალიბდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის (ISM) კომიტეტი;

- შემუშავდა ISM კომიტეტისა და სამუშაო ჯგუფის საქმიანობის წესი;

- ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოების კომიტეტის სხდომა;

- შემუშავდა ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები:
  - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის სამოქმედო გეგმა;
  - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გავრცელების სფერო;
  - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სარეზერვო ასლების და ჩანაწერების შენახვის წესი;

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროცესების ცვლილებების მართვის წესი;
- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინციდენტების მართვის პროცედურა;
- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საინფორმაციო სისტემების პაროლების გამოყენებისა და მართვის წესი;

- დაინერგა პრივილეგირებული მომხმარებლების მართვის (PAM სისტემა), რომლის გამოყენებითაც მიმდინარეობს მართვის სისტემის ინფრასტრუქტურაში არსებულ სისტემებსა და სერვისებზე პრივილეგირებული მომხმარებლების მართვა აღნიშნული სისტემის გამოყენებით;

- დაინერგა მონაცემთა ბაზების ქსელური ეკრანი (Firewall), რომლის გამოყენებითაც მიმდინარეობს მართვის სისტემის ინფრასტრუქტურაში არსებულ მონაცემთა ბაზებზე განხორციელებული აქტივობის მონიტორინგი და მავნე ქმედებების აღმოჩენა;

- მიმდინარეობს განათლების ერთიან სისტემაში ჩართული მოწყობილობების ლოგების კორელაცია, მონიტორინგი და საფრთხეების გამოვლენა SIEM სისტემის გამოყენებით;

- მიმდინარეობს განათლების ერთიანი ქსელის, სისტემების და ჩართული მოწყობილობებისთვის მუდმივი მოწყვლადობის კონტროლი, ტესტირება და მონიტორინგი.

- მიმდინარეობს სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფების უსაფრთხოების ნორმების შემუშავება და შესაბამისობის დადგენა;

კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების მიმართულება

საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და სასწავლო პროცესში მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- დაინერგა ინციდენტების მოთხოვნების, აქტივების და ცვლილებების ახალი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელების, სისტემების და კომუნიკაციების სამსახურის, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურის ეფექტურ საქმიანობასა და დოკუმენტირებას.

- დაიგეგმა და განხორციელდა როგორც მთავარი, ასევე სარეზერვო მონაცემთა ცენტრის ფიზიკური გაფართოება, რაც უზრუნველყოფს დამატებით სერვერული და მონაცემთა სანახი სიმძლავრეების დამატებას.

- მონაცემთა ცენტრებში (როგორც მთავარი ასევე სარეზერვო) განხორციელდა მოძველებული კომუტატორების შეცვლა უახლესით, რაც უზრუნველყოფს ერთიანი საგანმანათლებლო ქსელის ბევრად სტაბილურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას სამომავლო გაფართოების პერსპექტივით.

- საჯარო სკოლებში შეიცვალა 500 მდე მარშრუტიზატორი თანამედროვე (Nex Gen) ფაირვოლებით (ჯამურად 1000 მდე საჯარო სკოლა).

- განხორციელდა 1000 მდე საჯარო სკოლებში არსებულ მარშრუტიზატორებისთვის ლიცენზიების შესყიდვა და კონფიგურაცია, შედეგად ბევრად გაუმჯობესდა ინტერნეტ კავშირის ხარისხი და ასევე კონტენტის ფილტრაციის მექანიზმები და უსაფრთხოების კომპონენტი.

- განხორციელდა ერთიანი საგანმანათლებლო ქსელის მთავარი ფაერვოლის განახლება უახლეს მოდელზე, რაც გულისხმობს ერთიანი სისტემის მეტ მდგრადობას, მონაცემთა გამტარობას და უსაფრთხოებას.

- განხორციელდა მონაცემთა ბაზების ახალი ფაიერვოლის შესყიდვა და დანერგვა, რაც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვის სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა ბაზებზე წვდომის, განახლების შეცვლის და დათვალიერების კონტროლს და დოკუმენტირებას.

- განხორციელდა მონაცემთა ცენტრში არსებული სერვერული ინფრასტრუქტურის წვდომის სისტემის დანერგვა (PAM - პრივილეგირებული წვდომის მენეჯმენტის სისტემა).
- სერვერული სიმძლავრეების ოპტიმიზაციის მიზნით განხორციელდა დატვირთვის განაწილების ახალი სისტემის შესყიდვა და დანერგვა.

- უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისობის გათვალისწინებით განხორციელდა 100 მდე ვებ აპლიკაციის კონტეინერულ სისტემაზე გადაყვანა.

- განხორციელდა სარეზერვო მონაცემთა ცენტრში სარეზერვო სისტემის შესყიდვა და დანერგვა, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სარეზერვო ასლების ორ სხვადასხვა ლოკაციაზე დამოუკიდებლად განთავსებას.

- დაიგეგმა და განხორციელდა ერთიან საგანმანათლებლო ქსელში არსებული ფიზიკური აპარატურის (მათ შორის სერვერები, ქსელური აპარატურა, გაგრილება, გენერატორი და ა.შ.) მონიტორინგის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რეალურ დროში აღნიშნული მოწყობილობების მუშაობის კონტროლს და მონიტორინგს.

- განხორციელდა ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართული სუბიექტებისთვის Microsfor ლიცენზიების შესყიდვა განსაზღვრული საჭიროების შესაბამისად.

- დაიგეგმა და განხორციელდა ცენტრალიზებული ელექტრონული გამოცდების ორგანიზება და ტექნიკური მხარდაჭერა (დირექტორთა სერტიფიცირება, პროფესიული, ექსტერნის გამოცდების ასევე, გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრისა და სხვა სააგენტოების/სსიპ -ების მიერ ადმინისტრირებული ტესტირების მხარდაჭერა და ტექნიკური უზრუნველყოფა).

- დაიგეგმა და განხორციელდა საჯარო სკოლების IT ინფრასტრუქტურის მართვის (ინციდენტები/მოთხოვნები/არქივები) ახალი სისტემის საპილოტე რეჟიმში გაშვება.

სხვადასხვა სამუშაო პროცესები

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საანგარიშო წლის მანძილზე მიმდინარეობდა დებულებითა და მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობების რეგულარული შესრულება, მათ შორის ხორციელდებოდა:

- წლიური და კვარტალური ანგარიშგება ეროვნული სტრატეგიებითა და სახელმწიფო სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე სსიპ განათლების მართის საინფორმაციო სისტემის კომპეტენციის ფარგლებში.
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადება კომპეტენციის ფარგლებში.
- ევროკომისიის მიერ საქართველოს ე.წ. გაფართოების პაკეტის ფარგლებში (EU Enlargement Package) პროგრესის შეფასების მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, ინფორმაციის მიწოდება.
- სხვადასხვა კითხვარის/ანგარიშის გარშემო, კომპეტენციის ფარგლებში, ინფორმაციის მომზადება, მათ შორის:
  - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) - ფორმალური განათლების კვლევა „ახალი ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება განათლების სექტორში დაგეგმვისა და მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად“;
  - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ანგარიში - განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ 1960 წლის კონვენციის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით (2021-2024 წწ.);
  - ევროპული ქსელის „Eurydice Network“ უცხოელი ექსპერტის მიერ მომზადებული საქართველოს განათლების სისტემის აღწერის (Overview და CHAPTER 1: POLITICAL, SOCIAL AND ECONOMIC BACKGROUND AND TRENDS) დოკუმენტი.

- ადამიანური კაპიტალის პროექტის (HCP) ფარგლებში, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2022-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგი და პერიოდული ანგარიშგება. ასევე პროექტის ფარგლებში განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა და შესრულებული სამუშაოს კვარტალური ანგარიშგება.

- იმ პირთა აღრიცხვა, რომლებსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ან/და კანონმდებლობის საფუძველზე ჩამოერთვათ პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კომპეტენციის ფარგლებში საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების წარმოშობისა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია.

- კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ერთეულებში, ასევე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის დანერგვის/ადმინისტრირების მხარდაჭერა, კერძოდ: სისტემატურად მიმდინარეობდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eFlow) ჩართული დაწესებულებების მოთხოვნების საფუძველზე მათი სტრუქტურული ცვლილებების ასახვა სისტემაში (ახალი თანამშრომლების რეგისტრაცია, გათავისუფლებული თანამშრომლების რეგისტრაციიდან მოხსნა, თანამდებობების ცვლილება, დოკუმენტებზე წვდომის უზრუნველყოფა, შესაბამისი ხედვების უზრუნველყოფა და ა.შ.).

- სისტემის ფუნქციონირების პროცესში გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების იდენტიფიცირება და მართვა.

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, პროფესიული და უმაღლესი განათლების სამსახურის წარმომადგენლობით, საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის განათლების დარგობრივი საბჭოს სამუშაო პროცესში, წევრის სტატუსით. ასევე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, კვალიფიკაციების ეროვნული რეესტრის შექმნის მიზნით, განხორციელდა პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში რეესტრის კონცეფციის აღწერა და დამუშავება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ასევე შემუშავებულ იქნა რეესტრის დიზაინი.

- საანგარიშო წლის მანძილზე მართვის სისტემაში მოქმედი ორი (ძირითადი ცხელი ხაზი და ტექნიკური ცხელი ხაზი) სატელეფონო ცხელი ხაზის ადმინისტრირება.
  - ✓ მართვის სისტემის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, დაინტერესებული პირებისთვის სატელეფონო კონსულტაციების გაწევის მიზნით, ფუნქციონირებს ძირითადი სატელეფონო ცხელი ხაზი (სამუშაო ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ერთეულებში, ასევე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-Flow) დანერგვასა და შემდგომ ადმინისტრირებას; მართვის სისტემის მიერ ადმინისტრირებადი ელექტრონული სისტემების ფუნქციონალის შესახებ კონსულტაციების გაწევას, ასევე ამ სისტემებში დაფიქსირებული ხარვეზების ან ინციდენტების შესახებ, სატელეფონო შეტყობინებებით მიღებული ინფორმაციის ასახვას შესაბამის ელექტრონულ სისტემაში და აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ ინფორმაციის უკუგებას დაინტერესებული პირებისთვის.

  - ✓ ტექნიკური ცხელი ხაზი - (2-220200), რომლის კომპეტენციას წარმოადგენს ტექნიკური შინაარსის პრობლემებთან დაკავშირებით განათლების სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფილის პერსონალისთვის კომპეტენტური სატელეფონო დახმარების გაწევა.